



ბანათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტი უმაღლეს საგანმანათლებლო
პროგრამაზე

სადოქტორო პროგრამა
ბიზნესის ადმინისტრირება

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

6 აგვისტო, 2018

თბილისი
2018 წელი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიითითებით	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი:	204864548
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ბიზნესის ადმინისტრირება
განათლების საფეხური	სადოქტორო პროგრამა
მისანიჭებული კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მიითითებით	ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამა
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	180
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	აკრედიტებული

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ტატიანა ვოლკოვა ბიზნესის ადმინისტრირება, ბიზნესის და ფინანსების სკოლა, ლატვია
---	---

წევრი (სახელი და გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	გოჩა თუთბერიძე ევროპული უნივერსიტეტი
წევრი (სახელი და გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	სალომე მულაძე კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამებული დასკვნა

1. ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში „ბიზნესის ადმინისტრირების" სადოქტორო პროგრამა ფუნქციონირებს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე. აღნიშნულმა პროგრამამ აკრედიტაცია გაიარა 2012 წელს (გადაწყვეტილება N 1; 01.02.2012) და ამ ეტაპზე იმყოფება ხელახალი აკრედიტაციის პროცესში.

ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამა 180 კრედიტანია. პროგრამა მოიცავს სასწავლო და კვლევით კომპონენტებს. სასწავლო კომპონენტი მოიცავს: სასწავლოს კურსებს (25 კრედიტი), პროფესორის დახმარებას (15 კრედიტი) და დოქტორანტის სემინარს (10 კრედიტი). სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტი მოიცავს დისერტაციის დაცვას (130 კრედიტი). ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამას აქვს შემდეგი კონცენტრაციები: ფინანსური ანგარიშგება და აუდიტი; მარკეტინგი; მართვა; ფინანსები; ტურიზმი და მასპინძლობის მართვა; საერთაშორისო ბიზნესის მართვა და საინფორმაციო ტექნოლოგიების მართვა.

2012 წლიდან განხორციელდა შემდეგი ცვლილებები: შეიცვალა სადოქტორო პროგრამის სტრუქტურა; შეიცვალა პროგრამაზე დაშვების წესი; სადოქტორო პროგრამას დაემატა ახალი სავალდებულო და არჩევითი საგნები; სილაბუსებში განიმარტა სწავლისა და სწავლების მეთოდები, კრიტერიუმები და სასწავლო კურსების მეთოდიკა; განახლდა სასწავლო კურსების შინაარსი/თემატიკა და ლიტერატურა და შეიცვალა ზოგიერთი სასწავლო კურსის დასახელება.

- აკრედიტაციის ვიზიტის მოკლე მიმოხილვა

აკრედიტაციის ვიზიტი განხორციელდა 2018 წლის 26 ივლისს. ვიზიტის დროს შევხვდით უნივერსიტეტის ადმინისტრაციას და თვითშეფასების ჯგუფს, პროგრამების ხელმძღვანელებს და ფაკულტეტის წევრებს, მოწვეულ ლექტორებს, დამსაქმებლებს და სტაჟირების ხელმძღვანელებს, სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს. ვიზიტის დროს ექსპერტებმა დაათვალიერეს დაწესებულების ინფრასტრუქტურა- ბიბლიოთეკა, საკლასო ოთახები, ლაბორატორიები, ოფისები, და ა.შ.

2. საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

პროგრამა:

- მეტწილად შესაბამისობაშია პირველ სტანდარტთან: საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათი შესაბამისობა პროგრამასთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მეორე სტანდარტთან: სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
- შესაბამისობაშია მესამე სტანდარტთან: სტუდენტთა მიღწევები და მათთან ინდივიდუალური მუშაობა
- მეტწილად შესაბამისობაშია მეოთხე სტანდარტთან: სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა
- მეტწილად შესაბამისობაშია მეხუთე სტანდარტთან. *სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები*

3. რეკომენდაციების შეჯამება

1. პროგრამის მთავარი მიზნის დადგენა და მისი მიმართვა სადოქტორო განათლების უმთავრესი კომპონენტის ირგვლივ, განათლების ამაღლების უზრუნველყოფით მართვის მეცნიერებაში ორიგინალური კვლევის განხორციელებით და ამით საერთაშორისო აკადემიურ და მკვლევარ საზოგადოებასთან მისკომუნიკაციის თავიდან არიდებით.
2. პროგრამის მიზნის თანმიმდევრულობის უზრუნველყოფა წერილობით და ვერბალურ კომუნიკაციაში.
3. პროგრამის მიზნის უკეთესად მორგება თსუ-ს მისიასა და ღირებულებებთან.
4. პროგრამის მიზნის შესახებ ინფორმაციის მიწოდება სტუდენტების, პერსონალისა და მოწვეული პერსონალის/ხელმძღვანელებისთვის როგორც საუნივერსიტეტო, ისევე გარეშე დონეზე, პროგრამის სტრუქტურის, შინაარსის მის მიზანთან შესაბამისობის უზრუნველყოფისა და ძირითადი მონაწილე მხარეებისათვის გაზიარების მიზნით.
5. პროგრამის დონის სწავლის შედეგების შესაბამისობის უზრუნველყოფა ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მიერ დადგენილ მოთხოვნებთან აკადემიური სადოქტორო პროგრამებისათვის.
6. სწავლის შედეგების რიცხვების შემცირება, რათა პროგრამა უფრო მარტივად სამართავი და აზრიანი იყოს სტუდენტებისა და სხვა მონაწილე მხარეებისათვის.

7. სწავლის შედეგების შეფასების ციკლის ჩამოყალიბება ბოლოდროინდელ სწავლის შედეგების გაზომვის საუკეთესო პრაქტიკაზე დაყრდნობით და სწავლის შედეგების შეფასების გამოყენების უზრუნველყოფა პროგრამის გაუმჯობესებისათვის.
8. კურიკულუმის რუქის შედგენა, რომელიც ასახავს თუ როგორ მიიღწევა თითოეული სწავლის შედეგი, ასევე თითოეული პროგრამის სწავლის შედეგის კავშირს კურსთან და კვლევის კომპონენტის სწავლის შედეგებთან.
9. უნდა ჩამოყალიბდეს სემესტრების მიხედვით გაწერილი პროგრამის სილაბუსი. მასში უნდა იგულისხმებოდეს თანმიმდევრულად და ლოგიკურად დალაგებული სწავლებისა და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტები (ასევე თითოეული სასწავლო კურსი).
10. დოქტორანტ სტუდენტებს უნდა შესთავაზოთ მესამე საფეხურისთვის შესამისი აკადემიური კურსები, როგორცაა თანამედროვე კვლევა მენეჯმენტში, ფინანსებში, მარკეტინგში და სხვ.
11. უნდა გაიზარდოს კურსის- კვლევის მეთოდოლოგია- კრედიტების რაოდენობა, რათა სტუდენტებმა პრაქტიკული გამოცდილებაც მიიღონ თანამედროვე კვლევითი პროგრამების გამოყენების გზით.
12. ბიზნეს ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამაზე სტუდენტებს უნდა შეთავაზოთ შესაბამისი არჩევითი საგნები.
13. კურსების - „კვლევის მართვა“ და „აკადემიური წერა“- სილაბუსები უნდა შეიცვალოს და მათ შორის არსებული დუბლირებები უნდა აღმოიფხვრას.
14. კურსის- „კვლევის მართვა“ სწავლის შედეგები უნდა დაკონკრეტდეს შინაარსის მიხედვით. ამასთან ერთად, უნდა განახლდეს სავალდებულო და დამატებითი ლიტერატურის სია.
15. კურსის - „პროფესორის დახმარება“ კრედიტების რაოდენობა უნდა შემცირდეს, ხოლო „კვლევის მეთოდების“ კრედიტების რიცხვი უნდა გაიზარდოს. ასევე, კურსი „კვლევის მეთოდები“ უნდა მოიცავდეს ხარისხობრივ და რაოდენობრივ მეთოდებს.
16. დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს აკადემიური პერსონალი ტრენინგით პროგრამის სწავლის შედეგების და მათი მიღწევის გაზომვის/შეფასების მექანიზმების შესახებ.
17. დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს ზემოთხსენებული გარემოება და შეიმუშავოს მექანიზმი, რომელიც შეამცირებს პროგრამაში დასაქმებულთა საშუალო ასაკს და უფრო მეტ შესაძლებლობებს მისცემს ახალგაზრდა მკვლევარებს, აქტიური მონაწილეობა მიიღონ უნივერსიტეტის აკადემიურ და კვლევით პროცესებში.
18. თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტების მისაღწევად აუცილებელია ინფრაესტრუქტურის გაუმჯობესება.
19. სისტემური და სისტემატიური მიდგომის ჩამოყალიბება პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით.
20. ხარისხის უზრუნველყოფის შედეგების გამოყენების უზრუნველყოფა პროგრამის გასაუმჯობესებლად.
21. პროგრამის გაუმჯობესების მიზნებიდან გამომდინარე შეგროვებული მონაცემების უფრო სისტემური მოგროვება და გაანალიზება.
22. პროგრამის განვითარების მიზნების დადგენა კონკრეტული ინდიკატორებით ინფორმაციის უფრო შინაარსიანი ანალიზის უზრუნველსაყოფად.

5. რჩევების შეჯამება

1. პროგრამის მიზანი შესაძლებელია საჯაროდ ხელმისაწვდომი იყოს პროგრამის ვებ-გვერდის ინგლისურენოვან ვერსიაში საერთაშორისო საზოგადოების ინფორმირების მიზნით.
2. სტუდენტთა ჩართულობის გაზრდა პროექტებსა და კონფერენციებში, მაგ; ახალგაზრდა მკვლევართა საერთაშორისო ან შიდასაუნივერსიტეტო სამეცნიერო კონფერენციების ორგანიზებით სხვა უნივერსიტეტთან ერთად;
3. პროგრამასა და მის განვითარებაზე სრულად პასუხისმგებელი პირის შერჩევა და დანიშვნა მკაფიოდ განსაზღვრული უფლება-მოვალეობებით.
4. შესაძლებელია გადაიხედოს პროგრამის კონცენტრაციები დეპარტამენტის ირგვლივ, რათა უზრუნველყოფილ იქნას მართვის კვლევის განვითარება მართვის მეცნიერების ახალ თემებთან დაკავშირებით.
5. გარეშე პარტნიორების ჩართვა პროგრამის მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების ხელახლა განსაზღვრაში წამყვანი ევროპული გამოცდილების გათვალისწინებით.
6. თვითშეფასების ჯგუფში სტუდენტი-წარმომადგენლის ჩართვა.
7. გარე დაინტერესებული პირების და პარტნიორების ჩართვა იმისათვის რომ განისაზღვროს პროგრამის მიზანი და შესაძლო სწავლის შედეგები წამყვან ევროპულ პრაქტიკაზე დაყრდნობით.
8. ერთობლივი სემინარ(ებ)ის ორგანიზება სხვა უნივერსიტეტთან ერთად დოქტორანტების ხელმძღვანელების მომზადების (ტრენინგი), ხარისხის განვითარებისა და უზრუნველყოფის საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებისათვის სადოქტორო პროგრამებისთვის.
9. კურსდამთავრებულების და დამსაქმებლის ჩართვა თვითშეფასების ჯგუფში.

6. საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)

7. აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში, მნიშვნელოვანი მიღწევებისა ან/და პროგრესის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათი შესაბამისობა პროგრამასთან

პროგრამით მკაფიოდაა განსაზღვრული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურად არიან დაკავშირებულნი ერთმანეთთან. პროგრამის მიზნები შეესაბამება დაწესებულების მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესების მიზნით მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები განსაზღვრავენ იმ ცოდნის, უნარ-ჩვევებისა და კომპეტენციების ერთობლიობას, რომელთა სტუდენტებში განვითარებასაც ისახავს მიზნად ეს პროგრამა. ისინი აგრეთვე წარმოაჩენენ დარგისა და საზოგადოების განვითარებაში შეტანილ წვლილს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

.პროგრამას განსაზღვრული მიზნები აქვს. თუმცა, სახეზეა პროგრამის ამოცანის (მიზნის) განსხვავებული ვერსიები სხვადასხვა დოკუმენტების მიხედვით. მაგალითად, სადოქტორო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშში მოცემულია მიზანი: „...მაღალკვალიფიციური დოქტორის მომზადება, რომელიც წვლილს შეიტანს საქართველოს ეკონომიკისა და ბიზნეს-სექტორის განვითარებაში" (თვითშეფასების ანგარიში, გ.15) დოკუმენტში „სადოქტორო პროგრამა", „დოქტორების" მნიშვნელობა ბიზნესში შემდეგნაირადაა ჩამოყალიბებული: დოქტორები არიან „... მომავალი ლოდერები და უმაღლესი რანგის პროფესიონალი მენეჯერები, რომელთაც შეუძლიათ ახალი ცოდნის გენერირება შემოქმედებითი ფორმით, დაგროვებული იდეების ანალიზი და მათი გავრცელება პუბლიკაციების სახით, სწავლებითა და პრაქტიკული გამოყენებით. ზოგადად, „დოქტორი" სამეცნიერო ხარისხია, რომელიც პირს ენიჭება სადოქტორო პროგრამის წარმატებით დასრულების შემდეგ და დოქტორები ხარისხის მფლობელები ხდებიან. ამგვარად, პროგრამის მიზანია, როგორც ეს თვითშეფასების ანგარიშშია მითითებული, მოამზადოს დოქტორის ხარისხის

მფლობელები, რომლებიც წვლილს შეიტანენ ქვეყნის ეკონომიკისა და ბიზნეს-სექტორის განვითარებაში.

ბიზნესია და მართვის სადოქტორო პროგრამების ინსტრუქციებში (რომელიც დამტკიცებულია EQUAL - European Quality Link-ევროპის ხარისხის ქსელის საბჭოს მიერ 2016 წლის მაისში) მითითებულია, რომ სადოქტორო პროგრამის მიზანია: „... მკვლევარების მომზადება, რომელთაც ექნებათ სწავლებისა და კვლევის განხორციელების კვალიფიკაცია სასწავლო დაწესებულებაში ან უმაღლესი განათლების სექტორს გარეთ, მაგ; კვლევით ინსტიტუტებში, საკონსულტაციო კომპანიებში, და ა.შ. ბიზნესისა და მართვის სადოქტორო პროგრამების თანასწორი ინსტრუქციები (იხ.: http://equal.network/wp-content/uploads/2016/11/161110-EQUAL_Guidelines_Doctoral.pdf) სახეზე უნდა იყოს კვლევის ჩატარების კომპეტენცია, რაც საჭიროა კვლევითი პროფილის საგანმანათლებლო გარემოში ფაკულტეტის წევრობის, ან ამ სფეროში მოღვაწე კვლევითი დაწესებულების წევრობისთვის.

ამგვარად, პროგრამის მთავარი მიზანია არა „მომავალი ლიდერებისა და მაღალი რანგის პროფესიონალი მენეჯერების მომზადება“, არამედ მკვლევარების მომზადება, რომლებიც შეძლებენ კვლევების წარმოებას მართვის მეცნიერებაში უმაღლეს დონეზე, იქნებან წამყვანი მკვლევარები ან გამოიყენებენ მკვლევარის უნარებს საზოგადოებისა და ბიზნესის განვითარების მიზნით.

თსუ-ს მიერ განსაზღვრული კიდევ ერთი მიზანი არის ძალიან ზოგადი: „...*არტისტული, შემოქმედებითი იდეების გენერირება ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში დოქტორანტი სტუდენტებისთვის, ამ იდეათა ხორცშესხმისა და შეფასებისათვის საკმარისი ანალიტიკური უნარების გამომუშავება; ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში სწავლის თანამედროვე მეთოდების ათვისება; პროფესიონალების მომზადება, რომლებიც შეძლებენ ინოვაციური კვლევების წარმართვას უახლესი მეთოდოლოგიების გამოყენებით; პროგრამა დოქტორანტს საშუალებას მისცემს, გაიღრმავოს ან შეიძინოს ახალი ცოდნა ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში მიმდინარე აქტუალური პროცესების ირგვლივ; ინტერ-დისციპლინური კვლევების ხელშეწყობა, ინოვაციური და შემოქმედებითი იდეების გენერირება, ანალიტიკური უნარების ჩამოყალიბება.*” (თვითშეფასების ანგარიში, გვ 15).

მსგავსი მიზანი, თუმცა სხვა სიტყვებით, ნახსენებია დოკუმენტში „ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამა“: „... პროგრამის მიზანია შემოქმედებითი (ინოვაციური) იდეების გენერირება, ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში შემოქმედებითი იდეებისა და ჰიპოთეზების ჩამოყალიბება, ამ იდეების შეფასებისა და ხორცშესხმისათვის საკმარისი ანალიტიკური უნარების გამომუშავება, მათი სხვებისთვის გაზიარება და გავრცელება, ასევე თანამედროვე სწავლების მეთოდების დაუფლება ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში“. ეს მიზანიც საკმაოდ ზოგადია: „... სახელოვნებო, შემოქმედებითი იდეების გენერირება ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში დოქტორანტი სტუდენტებისთვის...” და არ არის გამართულად ჩამოყალიბებული. იდეა არ არის საკმარისად გასაგები, რადგან არ არის განმარტებული რასთან მიმართებაში გენერირდება ეს

იდევბი, განსაკუთრებით „დოქტორანტი სტუდენტებისთვის“. საკითხავია, არის თუ არა საჭირო, პროგრამამ გამოიმუშავოს „...სახელოვნებო, შემოქმედებითი იდეები დოქტორანტი-სტუდენტებისათვის“. მიზნის ნაწილია „ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში სწავლის თანამედროვე მეთოდების ათვისება“, რაც შეიძლება შეიცვალოს „მართვის მეცნიერების თანამედროვე კვლევის მეთოდების ათვისება“-დ. რაც შეეხება მიზანს: „...პროფესიონალების მომზადება, რომლებიც შეძლებენ ინოვაციური კვლევების წარმოებას უახლესი მეთოდოლოგიების გამოყენებით“, აქ შეიძლება განიმარტოს, რომ ესენი ადრეული ეტაპის მკვლევარები არიან (ESR), „რომლებიც აღიარებულ უნდა იქნენ პროფესიონალებად - თანაბარი უფლებებით- რომლებიც უმთავრეს წვლილს შეიტანენ ახალი ცოდნის შექმნაში“. (http://equal.network/wp-content/uploads/2016/11/161110-EQUAL_Guidelines_Doctoral.pdf)

მიზანთან დაკავშირებული გაუგებრობა შეეხება მინიჭებულ ხარისხსაც: - ფილოსოფიის დოქტორი აკადემიური დოქტორანტურის (მაგ; ფილოსოფიის დოქტორი) ფუნქცია და მიზანია, პირს მიაწიოს კვალიფიკაცია, გახდეს ბიზნესისა და მართვის მეცნიერებების მკვლევართა საზოგადოების წევრი. ასევე, არის პროფესიული პრაქტიკის დოქტორანტურა (მაგ; DBA- ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი) და ძირითადად სრულდება კვლევის წარმართვით ნახევარ განაკვეთზე და/ან დისტანციურად და ერთობლივად მხარდაჭერილია კვლევაზე-ორიენტირებული უნივერსიტეტის (ან /და ბიზნესის სკოლის), და სადოქტორო კანდიდატის მიერ. აკადემიურ დოქტორანტურასთან შედარებით, პროფესიული პრაქტიკის დოქტორანტურა უფრო მკაფიო მიზნად ისახავს შეიტანოს წვლილი ინდუსტრიისა და საზოგადოების მართვის პრაქტიკაში. ის, მენეჯერებსა და აღმასრულებლებს, როგორც სადოქტორო კანდიდატებს/პრაქტიკოსებს, აძლევს საშუალებას გაიარონ მკაცრი და შესაბამისი კვლევითი სასწავლო პროგრამა აკადემიური კვალიფიკაციის უმაღლეს დონეზე პერსონალური და პროფესიული განვითარებისათვის „ზალცბურგის პრინციპების“ შესაბამისად. ამგვარად, პროფესიული დოქტორანტურა მენეჯმენტში ბუნებით თითქოს მულტი-დისციპლინურია და შეიძლება მოიცავდეს ერთზე მეტ აკადემიურ დაწესებულებას ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო დონეზე. პროფესიული დოქტორანტურა საშუალებას მისცემს კურსდამთავრებულებს განვიითარონ სხვადასხვა კარიერული მიმართულებები: ხელმძღვანელობის ცვლილება ბიზნეს-ორგანიზაციაში, კონსულტაცია, თვითდასაქმება, უნივერსიტეტის ფაკულტეტზე ან ბიზნეს-სკოლაში მუშაობა.

ამგვარად, აუცილებელია ადმინისტრაციულ და აკადემიურ პერსონალს შორის დისკუსია და განმარტება, რა არის „აკადემიური სადოქტორო პროგრამის“ (რომელიც მოამზადებს მართვის მეცნიერების მკვლევარებს) (Ph.D.) მთავარი მიზანი „პროფესიულ სადოქტორო პროგრამებთან“ შედარებით (DBA) (რომელიც მოამზადებს მომავალ ლიდერებს და მაღალი პროფესიული რანგის მენეჯერებს), რათა პროგრამის სწავლის შედეგები და შინაარსი ეფექტურად იქნას ჩამოყალიბებული.

პროგრამის მიზანმა ხაზი უნდა გაუსვას, აგრეთვე, ინტერნაციონალიზაციას, როგორც პროგრამის განვითარების ნაწილს, რათა უზრუნველყოფილ იქნას თსუ-ს მისიასა და

ღირებულებებთან შესაბამისობა: „საგანმანათლებლო, კვლევითი და ადმინისტრაციული პროცესების" ინტერნაციონალიზაცია.

აუცილებელია, აგრეთვე, უზრუნველყოფილ იქნას საერთო/გაზიარებული აზრი პროგრამის მიზნის შესახებ, რადგან მასზე სხვადასხვა მონაწილე მხარეებს განსახვავებული მოსაზრებები აქვთ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- თვითშეფასების ანგარიში
- სადოქტორო პროგრამა „ ბიზნესის ადმინისტრირება"
- შეხვედრა უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან;
- შეხვედრა პროგრამის ხელმძღვანელებთან;
- შეხვედრა აკადემიურ პერსონალთან;
- შეხვედრა დამსაქმებლებთან;
- შეხვედრა სტუდენტებთან;
- შეხვედრა კურსდამთავრებულებთან
- შეხვედრა მოწვეულ პერსონალთან.

რეკომენდაციები:

წინადადება (ები), რომელიც უნდა გაითვალისწინოს დაწესებულებამ სტანდარტების მოთხოვნების შესასრულებლად.

- 1 . პროგრამის მთავარი მიზნის დადგენა და მისი მიმართვა სადოქტორო განათლების უმთავრესი კომპონენტის ირგვლივ, განათლების ამაღლების უზრუნველყოფით მართვის მეცნიერებაში ორიგინალური კვლევის განხორციელებით და ამით საერთაშორისო აკადემიურ და მკვლევარ საზოგადოებასთან მისკომუნიკაციის თავიდან არიდებით.
- 2 . პროგრამის მიზნის თანმიმდევრულობის უზრუნველყოფა წერილობით და ვერბალურ კომუნიკაციაში.
- 3 . პროგრამის მიზნის უკეთ მისადაგება თსუ-ს მისიასა და ღირებულებებთან.
- 4 . პროგრამის მიზნის შესახებ ინფორმაციის მიწოდება სტუდენტების, პერსონალისა და მოწვეული პერსონალის/ხელმძღვანელებისთვის როგორც საუნივერსიტეტო, ისევე გარეშე დონეზე, პროგრამის სტრუქტურის, შინაარსის შესაბამისობის მის მიზანთან უზრუნველყოფისა და ძირითადი მონაწილე მხარეებისათვის გაზიარების მიზნით.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- 0 არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

1. პროგრამის მიზანი შესაძლებელია საჯაროდ ხელმისაწვდომი იყოს პროგრამის ვებ-გვერდის ინგლისურენოვან ვერსიაში საერთაშორისო საზოგადოების ინფორმირების მიზნით.
საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში): პრაქტიკები, რომლებიც განსაკუთრებით ეფექტურია და რომლებიც შესაძლოა გახდეს ორიენტირი ან მოდელი სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებისთვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში პროგრამის მიერ მნიშვნელოვანი მიღწევა ან / და პროგრესი წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2. პროგრამის სწავლის შედეგები
➤ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას; ➤ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს; ➤ პროგრამის სწავლის შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ● საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

სწავლის შედეგები განსაზღვრულია ორივე - პროგრამისა და კონცენტრაციების დონეზე. საქართველოს ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მიხედვით, მესამე საფეხურის უმაღლესი განათლების სწავლის შედეგები უნდა განისაზღვროს ცოდნისა და გაგების, მისი პრაქტიკაში გამოყენების, დასკვნის გაკეთების, კომუნიკაციისა და სწავლის უნარების საფუძველზე.

რაც შეეხება ცოდნის სწავლის შედეგებს, პროგრამა, ამბობს, რომ „საბაზრო ეკონომიკის პირობებში ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორს უნდა ჰქონდეს მიღებული ფართო ფუნდამენტური, სამეცნიერო და პრაქტიკული განათლება (იხ. სადოქტორო პროგრამა, გვ. 8). ეს არ არის თავად სწავლის შედეგი, მაგრამ ტრენინგი არის სწავლა/სწავლების მექანიზმი გარკვეული სწავლის შედეგების უზრუნველსაყოფად. სწავლის შედეგები უნდა განიმარტოს, როგორც ტრენინგის/სწავლების შედეგი, მაგ; უახლესი მართვის თეორიების ცოდნა, და ა.შ. ამიტომ, საჭიროა ამ ტრენინგის შემდეგ მიღწეული სწავლის შედეგების უზრუნველყოფა.

სწავლის შედეგი-ცოდნა და გაცნობიერება- განმარტებულია ამგვარად: „დოქტორს უნდა გააჩნდეს ბიზნესის მართვის სფეროს ცოდნა, რომელიც ეფუძნება სფეროს უახლეს მიღწევებს, რაც მას საშუალებას აძლევს გაიმდიდროს და გაიფართოვოს არსებული ცოდნა და გამოიყენოს ინოვაციური მეთოდები." ეს სწავლის შედეგი შესაძლოა განიმარტოს „მართვის მეცნიერების ბოლო პერიოდის სიახლეები" ცოდნის უკეთ დემონსტრაციისთვის (რისთვისაც გადაეცემა დოქტორის ხარისხი) შემდეგის ნაცვლად: „ბიზნესის მართვის უახლესი მიღწევები", რაც უფრო მეტად იქნება კავშირში ბიზნესის მართვის პროფესიულ მიღწევებთან და პროფესიულ დოქტორანტურასთან.

სწავლის შედეგის - „ცოდნა და გაცნობიერება" მეორე ნაწილი ამბობს: „დოქტორი ბიზნესის ადმინისტრირებაში უნდა აცნობიერებდეს სამეცნიერო კვლევისა და სწავლების თანამედროვე მეთოდებსა და მექანიზმებს, კვლევის შედეგების შეფასებისა და ანალიზის რაოდენობრივ და სტატისტიკურ მეთოდებს, ბიზნესის მართვის თეორიებს, კონცეპციებსა და პრინციპებს თანამედროვე მეცნიერული მიღწევების გათვალისწინებით. ", ამ შემთხვევაში აკლია „მართვის მეცნიერება" (ფილოსოფიის დოქტორის ხარისხის მინიჭებისას).

სწავლის შედეგში - ცოდნა და გაცნობიერება- შესაძლოა ინტეგრირებული იყოს ახალი ცოდნის გაცნობიერების უნარი არსებული ცოდნის ხელახალი შეფასებისა და გადაფასების საშუალებით, როგორც ამას ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო მოითხოვს. ბიზნესის მართვა მართვის მეცნიერების ქვე-დარგია, რომელიც მართვის მეცნიერებაში უზრუნველყოფს მართვის უმთავრეს თეორიებს შეხედულებებს, მიდგომებს, კონცეპციებს. ამგვარად, სწავლის შედეგებმა ხაზი უნდა გაუსვან მართვის მეცნიერებაში უახლეს მიღწევებს, და არა მხოლოდ ბიზნესის ადმინისტრირების, როგორც მართვის მაცნირების ქვე-დარგის მიღწევებს.

პროგრამის კონცენტრაციების სწავლის შედეგები უზრუნველყოფილია. ეს სწავლის შედეგები ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მიერ დადგენილ მე-3 საფეხურის სწავლის

შედეგებს არ შეესაბამება. მაგალითად; აღრიცხვისა და აუდიტის კონცენტრაციის სწავლის შედეგები ასეთია: „... საწარმოს ფინანსური აღრიცხვისა და შიდა აუდიტის განყოფილებების მართვა, აღრიცხვისა და აუდიტის სწავლება თანამედროვე სწავლების მეთოდების გამოყენებით," და ა.შ. პირველი სწავლის შედეგი შეესაბამება სამაგისტრო პროგრამის შედეგს, რომელიც დარგისთვის ამზადებს მენეჯერებს. აკადემიური სადოქტორო პროგრამის სწავლის შედეგი, როგორც ეს ზემოთ იყო ნახსენები, არ არის დაკავშირებული პროფესიონალი მენეჯერების მომზადებასთან, რომელთაც შეუძლიათ გარკვეული ბიზნეს ოპერაციის მართვა, არამედ კვლევის წარმართვასა და ამ კვლევის შედეგების შესახებ ინფორმაციის გაზიარებასთან მონაწილე მხარეთა შორის. იგივე შეეხება მარკეტინგის კონცენტრაციასაც, რადგან, სწავლის შედეგი, მაგალითად ასეთ ფორმულირებული: „ოპტიმალური ასორტიმენტის სტრუქტურის შექმნა" (იხ. სადოქტორო პროგრამის სწავლის შედეგების აღწერა) დოკუმენტში: „ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამა" გვ. 8-19.

პროგრამის მთავარი მიზნის მკაფიო განსაზღვრა (აკადემიური თუ პროფესიული სადოქტორო განათლება) სწავლის შედეგის განსაზღვრებაც უფრო ნათელი /გასაგები იქნებოდა.

სწავლის შედეგები ძალიან დეტალიზებულია ზოგადად და არ არის საჭირო აიგოს კონცენტრაციების ირგვლივ, მაგრამ, ევროპული საუკესეთესო პრაქტიკის საფუძველზე, მათი რიცხვი შესაძლოა შემცირდეს 6-8 სწავლის შედეგამდე, რათა პროგრამის მართვა უფრო მარტივი იყოს და უზრუნველყოს კურსის სწავლის შედეგების განვითარების კარგი საფუძველი.

ზემოთხსენებულისა და ვიზიტის დროს შეროვებული მტკიცებულებების საფუძველზე სწავლის შედეგების შეფასების კონცეფცია და შეფასების ციკლი, პროგრამისა და კურსის დონეებზე, ჩამოყალიბების პროცესშია. მაგალითად, დისერტაციის სწავლის შედეგი აღწერილია, როგორც: ბრწყინვალე, ძალიან კარგი, კარგი, საშუალო და დამაკმაყოფილებელი და შესაძლოა შეფასდეს, როგორც: დაიცვა ან ვერ დაიცვა. მაგრამ არ არის განმარტებული რა სწავლის შედეგი უნდა აჩვენოს სტუდენტმა ამ დონეების მისაღწევად და არ არის მითითებული კრედიტები.

იგივე შეეხება კურსის დონის სწავლის შედეგების შეფასებას, მაგ; კურსისთვის „თანამედროვე სწავლის მეთოდები", შეფასება არ არის დაკავშირებული სწავლის შედეგებთან. შეფასება ძირითადად იძლევა სტუდენტის ქცევის აღწერას, მაგ; „...მუდამ მომზადებული ლექციებისა და სემინარებისთვის, აქტიურად ჩართული ინტერაქტიურ სამუშაოში, ეყრდნობა შესაბამის მასალას, გამოთქვამს დასაბუთებულ მოსაზრებებს", და ა.შ. და არა კურსის სწავლის შედეგის მიღწევის აღწერას. პროგრამისთვის სასარგებლო იქნებოდა კურიკულუმის რუქის შემუშავება, რომელიც ასახავს როგორ მიიღწევა თითოეული პროგრამის სწავლის შედეგი, ასევე თითოეული პროგრამის სწავლის შედეგის კავშირს კურსისა და კვლევის კომპონენტის სწავლის შედეგებთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით:

- თვითშეფასების ანგარიში;
- სადოქტორო პროგრამა "ბიზნესის ადმინისტრირება";
- კურსის სილაბუსები
- შეხვედრა უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან;
- შეხვედრა პროგრამის ხელმძღვანელებთან;
- შეხვედრა აკადემიურ პერსონალთან;
- შეხვედრა სტუდენტებთან;
- შეხვედრა მოწვეულ პერსონალთან.

რეკომენდაციები:

წინადადება (წინადადებები), რომელიც უნდა გაითვალისწინოს დაწესებულებამ სტანდარტების მოთხოვნების შესასრულებლად.

1. პროგრამის დონის სწავლის შედეგების შესაბამისობის უზრუნველყოფა ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მიერ დადგენილ მოთხოვნებთან აკადემიური სადოქტორო პროგრამებისათვის.
2. სწავლის შედეგების რიცხვის შემცირებამ, რათა პროგრამა უფრო მარტივად სამართავი და გამართული იყოს სტუდენტებისა და სხვა მონაწილე მხარეებისათვის.
3. სწავლის შედეგების შეფასების ციკლის ჩამოყალიბება ბოლოდროინდელ სწავლის შედეგების გაზომვის საუკეთესო პრაქტიკაზე დაყრდნობით და სწავლის შედეგების შეფასების გამოყენების უზრუნველყოფა პროგრამის გაუმჯობესებისათვის.
4. კურიკულუმის რუქის შედგენა, რომელიც ასახავს თუ როგორ მიიღწევა თითოეული სწავლის შედეგი, ასევე თითოეული პროგრამის სწავლის შედეგის კავშირს კურსთან და კვლევის კომპონენტის სწავლის შედეგებთან.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

პრაქტიკები, რომლებიც განსაკუთრებით ეფექტურია და რომლებიც შესაძლოა გახდეს ორიენტირი ან მოდელი სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებისთვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში პროგრამის მიერ მნიშვნელოვანი მიღწევა ან / და პროგრესი წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება გთხოვთ, მონიშნოთ ის უჯრა, რომელიც ყველაზე მეტად შეესაბამება თქვენს პოზიციას სტანდარტის ამ კონკრეტულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობასთან დაკავშირებით. ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობა შია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათი შესაბამისობა პროგრამასთან		X		

2 . სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და სწავლის დაგეგმილი შედეგების მიღწევას.

2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

პირი, რომელსაც სურვილი აქვს ჩაირიცხოს ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამაზე, უნდა აკმაყოფილებდეს უნივერსიტეტის ზოგად მოთხოვნებს. ამასთან ერთად, პირი უნდა აკმაყოფილებდეს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სადოქტორო პროგრამისა და სადისერტაციო კომიტეტის მოთხოვნებს. ზემოთხსენებული პირი უნდა იყოს მაგისტრი ან ჰქონდეს მაგისტრთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი (საქართველოს ფარგლებს გარეთ მიღებული განათლების შემთხვევაში - უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის მოთხოვნების შესაბამისად აღიარებული დიპლომი). სასურველი იქნებოდა აკადემიური ხარისხის ფლობა ბიზნესის ადმინისტრირების ან ეკონომიური მეცნიერებების ნებისმიერ სპეციალობაში. ქულების თანაბარი რაოდენობის შემთხვევაში, უპირატესობა მიენიჭებათ პირებს, რომლებსაც მონაწილეობა აქვთ მიღებული სამეცნიერო კონფერენციებში, გავლილი აქვთ სტაჟირება უცხოურ უნივერსიტეტში, ასევე მათ, ვისაც სამუშაო გამოცდილება აქვს ბიზნესის ადმინისტრირების კუთხით (სხვა დოკუმენტებთან ერთად, პირი წარადგენს შესაბამის დოკუმენტებს).

კანდიდატმა უნდა იცოდეს ერთ-ერთი ევროპული სამეცნიერო ენა (ინგლისური, გერმანული ან ფრანგული) მინიმუმ B2-დონეზე, რაც დადასტურებული იქნება უნივერსიტეტის გამოცდით ან სხვა შესაბამისი სერთიფიკატით.

კანდიდატი გათავისუფლდება ზემოთხსენებული მოთხოვნისგან („კანდიდატმა უნდა იცოდეს ერთ-ერთი ევროპული სამეცნიერო ენა (ინგლისური, გერმანული ან ფრანგული) მინიმუმ B2-დონეზე, რაც დადასტურებული იქნება უნივერსიტეტის გამოცდით ან სხვა შესაბამისი სერთიფიკატით"), თუ პირს დასრულებული ექნება სამაგისტრო პროგრამა საქართველოში ან უცხოეთში ერთ-ერთ იმ ენაზე, რომელიც სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობაა. საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურები განსაზღვრული უნდა იყოს თსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის სადოქტორო პროგრამისა და სადისერტაციო კომიტეტის დებულებებით. დოქტორანტურის კანდიდატს გასაუბრება ექნება კომისიასთან ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სადისერტაციო კომიტეტის მიერ გაწერილი წესის მიხედვით.

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო

პროგრამაზე დაშვების დარგის კომისიასთან გასაუბრების კრიტერიუმები შემდეგია:

1 . კვლევითი პროექტი- 3-4 გვ. სადაც დოკუმენტირებულია კავშირი სადისერტაციო თემასთან, კვლევის მიზანი, პრობლემები და დაგეგმილი (მისაღწევი) სამეცნიერო-თეორიული და პრაქტიკული შედეგები.

2 . სარეკომენდაციო წერილი პროფესორისგან;

3 . დოქტორანტურის კანდიდატმა გასაუბრების დროს , დარგის კომისიის თვალწინ, უნდა გააკეთოს წარდგენილი კვლევის პროექტის რეზიუმე.

4 . გასაუბრება შეფასდება შემდეგი კრიტერიუმებით: განათლება (შესაბამისობა კვალიფიკაციასთან), მოტივაცია, კვლევითი პროექტის პრეზენტაცია. თითოეული კომპონენტი ფასდება 1-10 ქულით. 6 და 6-ზე ნაკლები ქულის მოგროვების შემთხვევაში, კანდიდატი ეთიშება კონკურსს.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან და თსუ-ს რეგულაციებთან. ინფორმაცია დაშვების წინაპირობების შესახებ საჯარო და გამჭვირვალეა - ის ხელმისაწვდომია ფაკულტეტის ვებ-გვერდზე სადოქტორო პროგრამის სტუდენტებისთვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების

ჩათვლით

- თსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილება თსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სადოქტორო პროგრამის ა და სადისერტაციო საბჭოს N215 ბრძანების (კოდიფიცირებული)(ბრძანება N215, 4 მაისი, 2009) ახალი რედაქციის დამტკიცების შესახებ, მუხლი 2, პარაგრაფი 4.
- თსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილება N77/2018- აკადემიური საბჭოს დადგენილებაში N 25/2011, 16 მარტის დადგენილებაში ცვლილებისა და დამატების შეტანის შესახებ სადოქტორო პროგრამის მინიმალური სტანდარტის დამტკიცების შესახებ.
- შეხვედრა პროგრამის ხელმძღვანელებთან.

რეკომენდაციები:

წინადადება (წინადადები), რომელიც უნდა გაითვალისწინოს დაწესებულებამ სტანდარტების მოთხოვნების შესასრულებლად.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

პრაქტიკები, რომლებიც განსაკუთრებით ეფექტურია და რომლებიც შესაძლოა გახდეს ორიენტირი ან მოდელი სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებისთვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში 1. პროგრამის მიერ მნიშვნელოვანი მიღწევა ან / და პროგრესი წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება გთხოვთ, მონიშნოთ ის უჯრა, რომელიც ყველაზე მეტად შეესაბამება თქვენს პოზიციას სტანდარტის ამ კონკრეტულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობასთან დაკავშირებით. ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი პროგრამა შედგენილია უსდ-ს განათლების პროგრამების დაგეგმვის, შედგენისა და განვითარების მეთოდოლოგიის შესაბამისად. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაში მიღების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანამიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ჩამოყალიბება დაკავშირებულია თსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილებასთან (N. 26/2011, 16 მარტი, 2011) „სადოქტორო პროგრამის განხორციელების მიზნით ინსტრუქციის ახალი რედაქციის დამტკიცების შესახებ“, თსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილება ცვლილებებისა და დამატების შესახებ N250 დადგენილებაში (16.07.2009- კოდიფიცირებული N 215, 4 მაისი, 2009). პროგრამა ასევე რეგულირდება თსუ-ს დადგენილებით ნომ. 251 თსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულებების ახალი

რედაქციის დამტკიცების შესახებ. (კოდიფიცირებული) (დადგენილება N 215, 4 მაისი, 2009). მუხლი 4, პარაგრაფი 2.

უნდა აღინიშნოს, რომ უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული (დადგენილება N97/2018-02.04.2018) ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის სილაბუსის სწავლების კომპონენტი, შინაარსი და სტრუქტურა არ ემთხვევა დადგენილებით- N215, 04.05.20109 „ თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულების ახალი რედაქციის დამტკიცების შესახებ", დანართი 1, მუხლი 8, ქვე-პარაგრაფი 8.3 - გათვალისწინებულ სწავლების კომპონენტსა და სტრუქტურას.

კერძოდ, 2009 წლის 4 მაისი დანართი 1-ის მუხლი 8-ის ქვე-პარაგრაფი 8.3-ის მიხედვით: სავალდებულო სასწავლო კურსი-სემინარი მოიცავს 15 კრედიტს, როცა პროგრამის მიხედვით ამისთვის 10 კრედიტია გამოყოფილი. ამას გარდა, აკადემიური კურსი „კვლევის მეთოდები" 5 კრედიტით, მიჩნეულია არჩევით საგნად დოქტორანტურის დებულების მიხედვით, მაგრამ სავალდებულოდ- პროგრამისა და სილაბუსის მიხედვით.

დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტის მიხედვით, მუხლი 5, პარაგრაფი 2, - თსუ აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული დადგენილება #25/2011 – „დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტის დამტკიცების შესახებ" (კოდიფიცირებული)- სწავლებისა და კვლევითი კომპონენტის კრედიტების რაოდენობა რეგულირდება ფაკულტეტის დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულებებით. ამგვარად, ხსენებული მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების კომპონენტი უნდა ემთხვეოდეს ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულების მოთხოვნებს. უნდა გაიზარდოს კურსის - „კვლევის მეთოდოლოგია" კრედიტების რაოდენობა (შესაძლოა იყოს 10 კრედიტამდე), რათა დარწმუნდეთ, რომ სტუდენტი პრაქტიკულ გამოცდილებასაც მიიღებს თანამედროვე კვლევითი პროგრამის გამოყენებაში.

სწავლების კომპონენტის სავალდებულო საგანმანათლებლო კურსები ისწავლება რაიმე წინაპირობის გარეშე, რაც იმის ნიშანია, რომ პროგრამის სწავლებისა და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტები (თითოეული საგანმანათლებლო კურსი) არ არის თანმიმდევრული და ლოგიკური. სილაბუსი არ შეიცავს რაიმე სქემას სემესტრების მიხედვით განაწილებული სასწავლო კურსების შესახებ.

არჩევითი კურსის- „არატრადიციული ეკონომიკა: მეთოდოლოგია და მეთოდები" წინაპირობაში ვკითხულობთ, რომ კურსს არ აქვს მკაცრი წინაპირობები. სასურველია, რომ დოქტორანტს უკვე შესწავლილი ჰქონდეს მაკროეკონომიკის პრინციპები, საერთაშორისო ეკონომიკის საფუძვლები და ეკონომიური პოლიტიკა. ამგვარი სასწავლო კურსები არ არის გათვალისწინებული საგანმანათლებლო პროგრამის მიერ.

საგანმანათლებლო პროგრამის მიხედვით, არჩევითი სასწავლო კურსებისათვის გამოყოფილია 10 კრედიტი. სტუდენტს შეუძლია აირჩიოს საუნივერსიტეტო კურსები არატრადიციული ეკონომიკის და მეცნიერების მართვის გარდა. ამ კურსების ნუსხა დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს დადგენილებით N#91/2011, 13 სექტემბერ, 2011. თუმცა ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორანტებს დიდი არჩევანი არ აქვთ. პროგრამა არ თავაზობს დოქტორანტებს მესამე საფეხურისთვის შესაფერის კურსებს, როგორცაა თანამედროვე კვლევა მენეჯმენტში, თანამედროვე კვლევა ფინანსებში, ან მარკეტინგში, როგორც ეს მიღებულია წამყვანი უნივერსიტეტების სადოქტორო პროგრამებზე. ამის მაგივრად უნივერსიტეტის დონის სადოქტორო პროგრამებზე შეთავაზებულია, მაგალითად, აკადემიური წერა იურისტებისთვის, იურისტების ფილოსოფია, ფსიქომეტრიკა და კლინიკური შეფასება, ბიბლიური სწავლებანი, რაც არცთუ ისე შეესაბამება ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამას.

პროგრამის კონცენტრაციების აგებულია დეპარტამენტების ირგვლივ. აღრიცხვა და აუდიტი, მარკეტინგი, მართვა, ფინანსები, ტურიზმი და სტუმართმოყვარეობის მენეჯმენტი, ინტერნაციონალიზაცია, საინფორმაციო ტექნოლოგიები. პროგრამის ხელმძღვანელობამ უნდა გადახედოს პროგრამის კონცენტრაციებს, რადგან მათ შესაძლოა შეზღუდონ მულტიდისციპლინური და ახალი თემები მართვის მეცნიერებაში, მაგ; სტრატეგიული პროგნოზირება, ინოვაციების მართვა და ა.შ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების

ჩათვლით

- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების 5 იანვრის, 2017 მინისტრის N 3 ბრძანება
- აკადემიური საბჭოს დადგენილებაში- N 57/2011, 29 ივნისი, 2011, საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების შესახებ - ცვლილებების შეტანის შესახებ (აკადემიური საბჭოს დადგენილება N 85/2018, 26 თებერვალი, 2018, მუხლი 1, პარაგრაფი ბ);
- თსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილება თსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სადოქტორო პროგრამის ა და სადისერტაციო საბჭოს N215 ბრძანების (კოდიფიცირებული)(ბრძანება N215, 4 მაისი, 2009) ახალი
- აკადემიური საბჭოს დადგენილება N 97, 02.04.2018, აკადემიური საბჭოს დადგენილებაში- N 57/2011, 29 ივნისი, 2011, საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების შესახებ - ცვლილებებისა და დამატების შეტანის შესახებ;

რეკომენდაციები:

წინადადება (წინადადებები), რომელიც უნდა გაითვალისწინოს დაწესებულებამ სტანდარტების მოთხოვნების შესასრულებლად.

1. უნდა ჩამოყალიბდეს სემესტრების მიხედვით გაწერილი პროგრამის სილაბუსი. მასში უნდა იგულისხმებოდეს თანმიმდევრულად და ლოგიკურად დალაგებული სწავლებისა და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტები (ასევე თითოეული სასწავლო კურსი).

2. დოქტორანტ სტუდენტებს უნდა შეთავაზოთ მესამე საფეხურისთვის შესამისი აკადემიური კურსები, როგორცაა თანამედროვე კვლევა მენეჯმენტში, ფინანსებში, მარკეტინგში და სხვ.

3. უნდა გაიზარდოს კურსის- კვლევის მეთოდოლოგია- კრედიტების რაოდენობა, რათა სტუდენტებმა პრაქტიკული გამოცდილება მიიღონ თანამედროვე კვლევითი პროგრამების გამოყენების გზით.

4. ბიზნეს ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამაზე სტუდენტებს უნდა შესთავაზოთ შესაბამისი არჩევითი საგნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შესაძლებელია გადაიხედოს პროგრამის კონცენტრაციები დეპარტამენტის ირგვლივ, რათა უზრუნველყოფილ იქნას მართვის კვლევის განვითარება მართვის მეცნიერების ახალ თემებთან დაკავშირებით.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

პრაქტიკები, რომლებიც განსაკუთრებით ეფექტურია და რომლებიც შესაძლოა გახდეს ორიენტირი ან მოდელი სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებისთვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში

პროგრამის მიერ მნიშვნელოვანი მიღწევა ან / და პროგრესი წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

გთხოვთ, მონიშნოთ ის უჯრა, რომელიც ყველაზე მეტად შეესაბამება თქვენს პოზიციას სტანდარტის ამ კონკრეტულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობასთან დაკავშირებით.

☐ შესაბამისობაშია

მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

✓ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3 სასწავლო კურსი

- ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თითოეული ძირითადი კურსის სწავლის შედეგები მეტნაკლებად შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს და ყველა აკადემიური კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა ემთხვევა კურსის სწავლის შედეგებს. თუმცა, ყველა კურსის სწავლის შედეგები არ უნდა ჩანდეს პროგრამის სწავლის შედეგებში.

კერძოდ, თუმცა საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების ნუსხა საკმაოდ გრძელია, პირს შეუძლია სწავლის შედეგები აღმოაჩინოს ზოგი კურსის სილაბუსში, რომელიც არ არის პროგრამის სწავლის შედეგებში ჩამოთვლილი. მაგალითად: „კვლევის მეთოდები (სტატისტიკური მეთოდები ეკონომიკასა და ბიზნესში პროგნოზირებისათვის)\", „სწავლების თანამედროვე მეთოდები“.

აკადემიური კურსი „კვლევის მართვა“ არჩევითი კურსია. კურსი მოიცავს 5 კრედიტს კვირაში სამი საკონტაქტო საათით. კურსის შინაარსის მიხედვით, დოქტორანტები რეზიუმეს წერას სწავლობენ ორი კვირის განმავლობაში, საკმარისი დრო ეთმობა საგრანტო პროექტების დამუშავებას და სამეცნიერო წერის უნარებს. ლიტერატურის ჩამონათვალში მხოლოდ ვებ-გვერდების მისამართებია მითითებული, რომელთა ნაწილიც შემოწმების დროს არ ფუნქციონირებდა. არა მარტო ეს, დამატებით ლიტერატურად მითითებულია ვიკიპედიას წყაროები. აკადემიური კურსის სწავლის შედეგების მიხედვით, კურსის

დასრულების შემდეგ „... დოქტორანტი შეიარაღებული იქნება მეცნიერული მართვის უახლეს მიღწევებსა და ინოვაციურ მეთოდებზე დაფუძნებული ცოდნით; ისწავლის და გააცნობიერებს მეთოდებს ცოდნის გასაფართოებლად, კრიტიკულად გააანალიზებს მას და გაამდიდრებს ახალი ელემენტებით". თუმცა, ნათელი არ არის კურსის რომელი ელემენტები უწყობენ ხელს ამ სწავლის შედეგს.

არა მარტო ეს, სწავლის შედეგების მიღების შეფასების მეთოდები არ არის ნათლად ჩამოყალიბებული. მაგალითად, რეზიუმე და სამოტივაციო წერილი ფასდება 10+10 პროცენტით პრეზენტაცია (პროექტი და სტატია) 15+15 პროცენტით, ლექციებზე დასწრება 10 პროცენტით, საბოლოო გამოცდა 40 პროცენტით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კურსი „აკადემიური წერა“ სავალდებულოა პროგრამის მიხედვით. კურსის ფარგლებში სტუდენტები სწავლობენ სამეცნიერო სტატიის დაწერას და ორგანიზებას და „სამეცნიერო სტატიის წარდგენას სემესტრის განმავლობაში“, რაც ფასდება 30 ქულით საბოლოო გამოცდის 40 ქულიდან. ცხადია, რომ ამ ორ განსხვავებულ კურსს შორის დუბლირებაა.

„პროფესორის დახმარება“ საგანმანათლებლო პროგრამის სავალდებულო საგანია 15 კრედიტით, როცა აკადემიურ კურსს - „კვლევის მეთოდები“ მხოლოდ 5 კრედიტი აქვს. კრედიტების ამ გზით განაწილებას ნამდვილად ვერ დავარქმევთ ოპტიმალურს. „კვლევის მეთოდების“ კურსი მთლინად გულისხმობს სტატისტიკური პროგნოზების საკითხებს. ამგვარად, დოქტორანტები არ სწავლობენ რაოდენობრივ და ხარისხობრივ მეთოდებს და უკეთესი იქნება, თუ კურსზე შეისწავლება ბიზნესის კვლევის რაოდენობრივი და ხარისხობრივი მეთოდები და გაიზრდება კურსის კრედიტების რაოდენობა.

კურსი „არა-ტრადიციული ეკონომიკა: მეთოდოლოგია და მეთოდები“ შესულია პროგრამაში. მიუხედავად იმისა, რომ არჩევითი საგანია, ის ძირითადად მოიცავს ეკონომიკის თეორიას და ნაკლებად რელევანტურია

მტკიცებულებები/ინდიკატორები

კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- აკადემიური პროგრამები და სილაბუსები;
- სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები;
- პროგრამის სწავლის შედეგების რუქა;
- შეხვედრა აკადემიურ პერსონალთან
- შეხვედრა მოწვეულ პერსონალთან
- შეხვედრა სტუდენტებთან;
- შეხვედრა კურსდამთავრებულებთან

რეკომენდაციები:

წინადადება (წინადადებები), რომელიც უნდა გაითვალისწინოს დაწესებულებამ სტანდარტების მოთხოვნების შესასრულებლად.

1 . კურსების - „კვლევის მართვა" და „აკადემიური წერა"- სილაბუსები უნდა შეიცვალოს და აღმოიხვრას მათ შორის არსებული დუბლირებები. 2 . კურსის „კვლევის მართვა" სწავლის შედეგები უნდა დაკონკრეტდეს მისი შინაარსის მიხედვით. ამასთან ერთად, უნდა განახლდეს სავალდებულო და დამატებითი ლიტერატურის სია. 3 . კურსის -„პროფესორის დახმარება" კრედიტების რაოდენობა უნდა შემცირდეს, ხოლო „კვლევის მეთოდების" კრედიტების რიცხვი უნდა გაიზარდოს. ასევე, კურსი „კვლევის მეთოდები" უნდა შეიცავდეს კვლევის ხარისხობრივ და რაოდენობრივი მეთოდებს.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): პრაქტიკები, რომლებიც განსაკუთრებით ეფექტურია და რომლებიც შესაძლოა გახდეს ორიენტირი ან მოდელი სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებისთვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში 2. პროგრამის მიერ მნიშვნელოვანი მიღწევა ან / და პროგრესი წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება გთხოვთ, მონიშნოთ ის უჯრა, რომელიც ყველაზე მეტად შეესაბამება თქვენს პოზიციას სტანდარტის ამ კონკრეტულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობასთან დაკავშირებით. ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ✓ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება				
პროგრამა	უზრუნველყოფს	სტუდენტის	პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/აკადემიური მოსწრებისა და ტრანსფერული უნარჩვევების განვითარებას ან/და მათ ჩართულობას კვლევით პროექტებში, პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისად.	
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი				
საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) საგანმანათლებლო კურსების შეფასების ფორმები და კრიტერიუმები მოცემულია შესაბამისი სილაბუსებში.				
სადოქტორო	პროგრამა	მიზნად	ისახავს	დოქტორანტის
სამეცნიერო/კვლევითი/პრაქტიკული უნარების განვითარებას. უნარების განვითარება კონკრეტული პროექტების/ამოცანების შესრულებით, ასევე სადოქტორო პროგრამაზე მუშაობის დროს კვლევის წარმოებით ხდება. პროექტებში ძალიან ცოტა სტუდენტია ჩართული, თუმცა სტუდენტთა ჩართულობა პროექტებსა და კონფერენციებში სავალდებულოა.				
უნდა აღინიშნოს, რომ საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, ისინი, აგრეთვე, აკეთებენ სამეცნიერო პუბლიკაციას სადოქტორო კვლევის დროს მოგროვებულ მონაცემებზე დაყრდნობით. ასისტირების დროს, დოქტორანტები ივითარებენ სწავლების, შეფასებისა და კვლევითი მუშაობის პრაქტიკულ უნარებს.				
მტკიცებულებები/ინდიკატორები				
კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით				
- შეხვედრა აკადემიურ პერსონალთან - შეხვედრა მოწვეულ პერსონალთან' - შეხვედრა სტუდენტებთან; - შეხვედრა კურსდამთავრებულებთან - ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის კურიკულუმი; - სილაბუსები;				
რეკომენდაციები:				

წინადადება (წინადადები), რომელიც უნდა გაითვალისწინოს დაწესებულებამ სტანდარტების მოთხოვნების შესასრულებლად.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის 1, სტუდენტთა ჩართულობის გაზრდა პროექტებსა და კონფერენციებში. მაგ; ახალზაგზრდა მკვლევართა საერთაშორისო ან შიდასაუნივერსიტეტო სამეცნიერო კონფერენციის ორგანიზებით სხვა უნივერსიტეტთან ერთად,
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): 3. პრაქტიკები, რომლებიც განსაკუთრებით ეფექტურია და რომლებიც შესაძლოა გახდეს ორიენტირი ან მოდელი სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებისთვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში 4. პროგრამის მიერ მნიშვნელოვანი მიღწევა ან / და პროგრესი წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება გთხოვთ, მონიშნოთ ის უჯრა, რომელიც ყველაზე მეტად შეესაბამება თქვენს პოზიციას სტანდარტის ამ კონკრეტულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობასთან დაკავშირებით. ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლებისა და სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლა/სწავლების მეთოდები შესაბამისობაშია ყველა აკადემიური კურსის მიზნებსა და შინაარსთან, ასევე სწავლა/სწავლების მეთოდები ემსახურება სწავლის შედეგების მიღწევას აკადემიური კურსის სპეციფიურობის გათვალისწინებით. დაწესებულებას აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ჩამოყალიბების წესი და სპეციალური საჭიროების მქონე დოქტორანტების საგანმანათლებლო პროცესის განხორციელების წესი.

სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდებია: ლექცია, სამუშაო ჯგუფში მონაწილეობა, სემინარი, პრაქტიკული სამუშაო და სხვა. პროფესორმა შესაძლოა გამოიყენოს ერთი ან რამდენიმე ზემოთხსენებული მეთოდი, ან რაიმე სხვა მეთოდი კონკრეტული საგანმანათლებლო კურსის მიზნიდან გამომდინარე. კონკრეტული საგანმანათლებლო კურსის სწავლა/სწავლების მეთოდები მოცემულია შესაბამისი აკადემიური კურსის სულაბუსში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
- აკადემიური პროგრამა და სულაბუსები;
- შეხვედრა აკადემიურ პერსონალთან
- შეხვედრა მოწვეულ პერსონალთან
- შეხვედრა სტუდენტებთან;
- შეხვედრა კურსდამთავრებულებთან

რეკომენდაციები:

წინადადება (წინადადებები), რომელიც უნდა გაითვალისწინოს დაწესებულებამ სტანდარტების მოთხოვნების შესასრულებლად.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

5. პრაქტიკები, რომლებიც განსაკუთრებით ეფექტურია და რომლებიც შესაძლოა გახდეს ორიენტირი ან მოდელი სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებისთვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში

6. პროგრამის მიერ მნიშვნელოვანი მიღწევა ან / და პროგრესი წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

გთხოვთ, მონიშნოთ ის უჯრა, რომელიც ყველაზე მეტად შეესაბამება თქვენს პოზიციას სტანდარტის ამ კონკრეტულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობასთან დაკავშირებით.

- ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
